ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს პრეცედენტული სამართალი

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს (CJEU) 2023 წლის 4 მაისის გადაწყვეტილება *F.F. v Österreichische Datenschutzbehörde and CRIF GmbH, C-487/21, ECLI:EU:C:2023:369*

მნიშვნელოვანი ამონარიდი გადაწყვეტილებიდან:

„21. მიუხედავად იმისა, რომ მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაცია (GDPR) არ მოიცავს ტერმინის „ასლი“ ამგვარი მნიშვნელობით გამოყენების განმარტებას, მხედველობაში უნდა იყოს მიღებული ამ ტერმინის ჩვეულებრივი მნიშვნელობა, რომელიც გულისხმობს [...] ორიგინალის სანდო რეპროდუქციას ან ტრანსკრიფციას, რის შედეგადაც იმ მონაცემების სრულიად ზოგადი აღწერა, რომლებიც დამუშავების პროცესშია, ან პერსონალური მონაცემების კატეგორიებზე მითითება არ შეესაბამება აღნიშნულ განმარტებას. [...].“

[...]

„26. **„პერსონალური მონაცემების“ ცნების ფართო მნიშვნელობა მოიცავს არამხოლოდ მონაცემების დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის მიერ შეგროვებულ და შენახულ მონაცემებს, არამედ ასევე იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად პირთან დაკავშირებული პერსონალური მონაცემების დამუშავების შედეგად მიღებულ მთელ ინფორმაციას** [...].“

[...]

„28. შესაბამისად, მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციის (GDPR) მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის 1-ელი წინადადების ზედმიწევნითი ანალიზიდან გამომდინარე, აღნიშნული დებულება მონაცემთა სუბიექტს ანიჭებს, **ფართო გაგებით,** იმ საკუთარი **პერსონალური მონაცემების სანდო ასლის** მიღების უფლებას, **რომლებიც ექვემდებარება მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის მიერ განხორციელებული დამუშავების კლასიფიკაციის მქონე ოპერაციებს**.“

[...]

„32. [...] როგორც ევროკომისიამ აღნიშნა თავის წერილობით შენიშვნებში, **ტერმინი „ასლი“ დაკავშირებულია არა თავისთავად დოკუმენტთან, არამედ იმ პერსონალურ მონაცემებთან, რომლებსაც ის შეიცავს და რომლებიც უნდა იყოს სრული. შესაბამისად, ასლი უნდა მოიცავდეს ყველა პერსონალურ მონაცემს, რომელიც დამუშავების პროცესშია.“**

[...]

„34. ამგვარად, **მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციის მე-15 მუხლში განსაზღვრული წვდომის უფლება მონაცემთა სუბიექტს უნდა აძლევდეს იმაში დარწმუნების საშუალებას, რომ მასთან დაკავშირებული პერსონალური მონაცემები არის სწორი და კანონიერად მუშავდება** (იხ., ამ მიზნით, 2023 წლის 12 იანვრის გადაწყვეტილება, Österreichische Post (მონაცემთა მიმღებთან დაკავშირებული ინფორმაცია), C-154/21, EU:C:2023:3, 37-ე პუნქტი [...])“).

35. კერძოდ, წვდომის უფლება აუცილებელია, რათა მონაცემთა სუბიექტმა შეძლოს, გარემოებებიდან გამომდინარე, გასწორების, წაშლის უფლების („დავიწყების უფლების“) ან დამუშავების შეზღუდვის უფლების გამოყენება [...], ასევე მონაცემთა სუბიექტის მიერ მის პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაზე უარის თქმის უფლებით [...] და გასაჩივრების უფლებით სარგებლობა მისთვის ზიანის მიყენების შემთხვევაში

(2023 წლის 12 იანვრის გადაწყვეტილება, Österreichische Post (მონაცემთა მიმღებთან დაკავშირებული ინფორმაცია), C-154/21, EU:C:2023:3, 38-ე პუნქტი [...]).“

[...]

„37. ამასთან, გამჭვირვალობის პრინციპის შესაბამისად [...] **მონაცემთა სუბიექტისთვის გაგზავნილი ნებისმიერი ინფორმაცია უნდა იყოს მოკლე, მარტივად ხელმისაწვდომი და ადვილად გასაგები, ასევე ნათელი, მარტივი ენით ფორმულირებული.**“

[...]

„39. იმ **პერსონალური მონაცემების ასლს,** რომლებიც დამუშავების პროცესშია და **რომლის წარდგენაც მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციის მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის 1-ელი წინადადების მიხედვით უნდა უზრუნველყოს, უნდა ჰქონდეს ყველა მახასიათებელი, რომელიც მონაცემთა სუბიექტს მისცემს აღნიშნული რეგულაციით განსაზღვრული უფლებებით სარგებლობის საშუალებას და, აქედან გამომდინარე, უნდა იყოს პერსონალური მონაცემების სრული და სანდო ასლი.**“

[...]

„41. იმისათვის, რათა ამგვარად წარდგენილი ინფორმაცია იყოს მარტივად გასაგები [...], **შეიძლება აუცილებელი გახდეს იმ დოკუმენტების ამონარიდების, ან თუნდაც მთლიანი დოკუმენტების ან მონაცემთა ბაზებიდან ამონარიდების ასლების წარდგენა, რომლებიც, მათ შორის, შეიცავს იმ პერსონალურ მონაცემებს, რომლებიც დამუშავების პროცესშია [...], როდესაც დამუშავებული მონაცემების კონტექსტუალიზაცია აუცილებელია ამ მონაცემების გასაგებობის უზრუნველსაყოფად.**“

[...]

„43. ნებისმიერ შემთხვევაში [...], **ასლის მიღების უფლებამ** [...] **უარყოფითად არ უნდა იმოქმედოს სხვათა უფლებებსა და თავისუფლებებზე, მათ შორის, კომერციულ საიდუმლოებაზე ან ინტელექტუალურ საკუთრებაზე და, კერძოდ, საავტორო უფლებაზე, რომელიც იცავს პროგრამულ უზრუნველყოფას.**“

[...]

„45. [...]მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირისგან იმ პერსონალური მონაცემების ასლის მიღების უფლება, რომლებიც დამუშავების პროცესშია, ნიშნავს, რომ **მონაცემთა სუბიექტს უნდა გადაეცეს ყველა ამ მონაცემის სანდო და გასაგები ასლი.** აღნიშნული **გულისხმობს დოკუმენტების ამონარიდების, საჭიროების შემთხვევაში, მთლიანი დოკუმენტების და მონაცემთა ბაზებიდან ამონარიდების ასლების მიღების უფლებას, რომლებიც, მათ შორის, შეიცავს ამ მონაცემებს, თუ ასეთი ასლის მიღება აუცილებელია მონაცემთა სუბიექტის მიერ რეგულაციით მინიჭებული უფლებების ეფექტურად განხორციელებისთვის, იმის გათვალისწინებით, რომ სათანადო ანგარიში გაეწევა სხვათა უფლებებსა და თავისუფლებებს.**“

მოკლე მიმოხილვა:

რეგულაციის 2016/679 მე-15 მუხლის 1-ელი პუნქტის მიხედვით, მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირისგან მიიღოს დადასტურება იმის თაობაზე, მუშავდება თუ არა მისი პერსონალური მონაცემები, ხოლო დადებითი პასუხის შემთხვევაში - მიიღოს მის პერსონალურ მონაცემებზე წვდომა.

რეგულაციის 2016/679 მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის პირველი წინადადების შესაბამისად, „დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა მონაცემთა სუბიექტს უნდა მიაწოდოს იმ მონაცემთა ასლი, რომელიც დამუშავების პროცესშია“.

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ (CJEU) მონაცემთა სუბიექტისთვის იმ მონაცემთა ასლის მიწოდების ვალდებულებასთან მიმართებით, რომელიც დამუშავების პროცესშია, განმარტა მონაცემთა სუბიექტის უფლების სამართლებრივი შინაარსი.

ეროვნული კანონმდებლობის ნორმის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების საფუძველი	საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების დანართი I
ევროკავშირის სამართლებრივი აქტი, რომელთანაც მოხდა ეროვნული ნორმის დაახლოება	ევროპარლამენტისა და საბჭოს 2016 წლის 27 აპრილის რეგულაცია (EU) 2016/679 პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისას ფიზიკურ პირთა დაცვისა და ასეთი მონაცემების თავისუფალი მიმოცვლის შესახებ, რომელიც აუქმებს დირექტივას 95/46/EC (მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაცია (GDPR))
ევროკავშირის დებულება	**რეგულაციის 2016/679** მე-15 მუხლის მე-3 პუნქტი
ეროვნული ნორმა, რომლის დაახლოება ევროკავშირის სამართლებრივ აქტთან უკვე მოხდა	„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის 1-ელი პუნქტი (*სარეგისტრაციო კოდი 010100000.05.001.020936; 13/05/2025 კონსოლიდირებული ვერსია*)
საკვანძო ტერმინი	**მონაცემთა ასლი**
CJEU-ს პრეცედენტული სამართალი	*2023 წლის 4 მაისის სასამართლოს გადაწყვეტილება, F.F. v Österreichische Datenschutzbehörde and CRIF GmbH, C-487/21, ECLI:EU:C:2023:369*

ინფორმაცია დამუშავებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ევროკავშირის სამართლის დეპარტამენტის მიერ, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილებათა ანალიზის საფუძველზე.

ანალიზი განკუთვნილია მხოლოდ საინფორმაციო და საგანმანათლებლო მიზნებისთვის და არ ასახავს რომელიმე ორგანიზაციის, დაწესებულების ან სუბიექტის შეხედულებებს. ანალიზის სიზუსტე, სისრულე და გამოყენებადობა უნდა გადამოწმდეს შესაბამის იურიდიულ პროფესიონალებთან და არ უნდა ჩაითვალოს იურიდიულ რჩევად.